ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNDP

# წვდომა საექსპორტო ბაზრებზე

# INCLUSIVE ACCESS TO MARKETS



# საგრანტო კონკურსი წარმოების სექტორის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის  - Innovation Challenge Call (ICC): Supporting Georgian manufacturing sector SMEs in starting, continuing, or resuming exports to EU and European countries



**მიზანი:** წარმოების სექტორში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირისა და სხვა ევროპულ ბაზრებზე ექსპორტის დაწყებისა და გაფართოების მიზნით.

UNDP-ის მხრიდან თანადაფინანსების მოცულობა: **60,000 ლარი**

**SME-ის თანამონაწილეობა:** პროექტის ღირებულების არანაკლებ 10% ანუ 6,000 ლარი.

კონკურისის ფარგლებში შეირჩევა 15-მდე გამარჯვებული მცირე და საშუალო ზომის საწარმო. გამარჯვებულ საწარმოებს პროექტის განსახორციელებლად ექნებათ 5 თვე.

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია **მხოლოდ ინგლისურ ენაზე.**

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: **2026 წლის 19 ივნისი 13:00 საათი (GMT+4).**

ვადის გასვლის შემდეგ მიღებული განაცხადები არ განიხილება.



**პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „წვდომა საექსპორტო ბაზრებზე“ ფარგლებში.**



# კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერილი ეკონომიკური საქმიანობის სახეები:



კონკურში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ **წარმოების სექტორში მოღვაწე** ბიზნეს სუბიექტებს, რომლებიც საქართველოში აწარმოებენ პროდუქციას, მათ შორის იმ საწარმოებს, რომლებიც ახალ პროდუქტებს ქმნიან რეციკლირებული ან ნარჩენი მასალებისგან, „საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ მე-2 რედაქციის **C სექციის ან E სექციის** შესაბამისად, გარდა შემდეგისა:

- განყოფილება 12: თამბაქოს ნაწარმის წარმოება
- განყოფილება 33: მანქანების და მოწყობილობების რემონტი და დაყენება
- აქტივობები, რომლებიც უკავშირდება სამხედრო, ბირთვულ და სახიფათო ნივთიერებების წარმოებას.

ამასთან, E სექციის ფარგლებში საქმიანობების დასაშვებობა განისაზღვრება მცირე და საშუალო საწარმოს საქმიანობის ხასიათის, შემოთავაზებული პროექტისა და მათი ამ კონკურსის მიზნებთან შესაბამისობის საფუძველზე.

**შენიშვნა:** პროგრამა არ ვრცელდება სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის პირველად წარმოებაზე, როგორიცაა მემცენარეობა, მეცხოველეობა, ნადირობა, მეტყევეობა და ხე-ტყის დამზადება, თევზჭერა, აკვაკულტურა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა.

საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ მე-2 რედაქცია
https://www.geostat.ge/media/70150/NACE-Rev_2_GE_2023.pdf





# საკვალიფიკაციო მოთხოვნები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME)



**ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება?**

- მცირე და საშუალო საწარმოს (SME), რომელიც **რეგისტრირებულია საქართველოში** (გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა) ამ კონკურსში განაცხადის წარდგენამდე სულ მცირე **1 წლით ადრე** და აწარმოებს პროდუქციას საქართველოს ტერიტორიაზე.
- SME-ის, რომლის **სულ მცირე 50%-ის მესაკუთრე არის/არიან საქართველოს მოქალაქე** რეზიდენტი ფიზიკური პირ(ებ)ი და/ან რეზიდენტი იურიდიული პირ(ებ)ი.
- SME-ის, რომლის 2025 წლის **წლიური შემოსავალი არ არის 100,000 ლარზე ნაკლები და არ აღემატება 60 მილიონ ლარს.**
- SME-ის, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფოსა ან/და მუნიციპალიტეტის, აგრეთვე სს „საპარტნიორო ფონდის" მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ იურიდიულ პირს.
- SME-ის, რომელიც არ ირიცხება მევალეთა რეესტრში. ასევე, მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

**შენიშვნა: პროგრამა არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, მათ შორის არ ვრცელდება ინდივიდუალურ მეწარმეებზე**





# საგრანტო კონკურსი მხარს უჭერს პროექტების ფართო სპექტრს, როგორიცაა:



- **პროდუქტის გაუმჯობესება და ადაპტირება საექსპორტო ბაზრებისთვის:** პროდუქტის დიზაინის, შემადგენლობის, შეფუთვის ან მარკირების შეცვლა ან განახლება ისე, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს მიზნობრივი საექსპორტო ბაზრების ტექნიკურ, კულტურულ ან/და რეგულაციურ მოთხოვნებთან.
- **წარმოების პროცესის გაუმჯობესება:** ავტომატიზაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ან ციფრული წარმოების პროცესის დანერგვა.
- **რესურსების ეფექტიანობა და მდგრადობა:** მწვანე ტექნოლოგიების, მდგრადი წარმოებისა და მოხმარების პრაქტიკის დანერგვა, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის გარემოსდაცვით რეგულაციებს.
- **დისტრიბუციის მოდელის განვითარება:** საერთაშორისო დისტრიბუტორებთან, საბითუმო მოვაჭრეებთან ან/და მომწოდებლებთან პარტნიორობის დაწყება ან გაძლიერება, რაც ზრდის ეფექტიანობას და აუმჯობესებს წვდომას ევროკავშირის ბაზრებზე.
- **წარმოების ციფრული ინტეგრაცია:** ისეთი ციფრული ინსტრუმენტების დანერგვა, როგორიცაა ERP სისტემები, ხელოვნური ინტელექტი, ელექტრონული კომერციის პლატფორმები და სხვა ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში, დაგეგმვასა თუ გაყიდვებში.
- **საექსპორტო პროდუქტების დივერსიფიკაცია:** ახალი პროდუქტის საწარმოო ხაზის შექმნა და გამოცდა, რომლებიც პასუხობს მიმდინარე საჭიროებებს და ტენდენციებს მიზნობრივ ბაზრებზე.
- **სხვა ტიპის საქმიანობები,** რომლებიც შეესაბამება ამ კონკურსის ძირითად მიზნებს და შესაბამისი არგუმენტაციით არის დასაბუთებული.





# განაცხადების განხილვისა და შეფასების პროცესი



– **ადმინისტრაციული შემოწმება:** განაცხადის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობისა და განაცხადში მითითებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენა. განაცხადები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ადმინისტრაციული შემოწმების ეტაპს, ტექნიკური შეფასების ეტაპზე გადავლენ.

– **ტექნიკური შეფასება** (ქულათა მაქსიმალური ოდენობა - 100):

1. **ტექნიკური წინადადებების შეფასება (მაქსიმალური ქულა: 60):** აპლიკანტები, რომლებიც მიიღებენ მაქსიმალური შესაძლო ქულის არანაკლებ 70%-ს, ანუ 60 ქულიდან მინიმუმ 42 ქულას, მოწვეულნი იქნებიან ზეპირ ინტერვიუზე.
2. **ინტერვიუს შედეგების შეფასება (მაქსიმალური ქულა: 40):** აპლიკანტები, რომლებიც მიიღებენ არანაკლებ 70%-ს, ანუ 40 ქულიდან მინიმუმ 28 ქულას, განიხილებიან თანადაფინანსების მხარდაჭერის მისაღებად.

**აპლიკანტების საბოლოო რეიტინგი განისაზღვრება ორივე ეტაპზე მიღებული ქულების ჯამური შედეგის საფუძველზე.**

ბენეფიციარების შერჩევის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღებული იქნება განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან დაახლოებით 2 თვის განმავლობაში.





# კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის შევსება



კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებული პირები უნდა დარეგისტრირდნენ UNDP-ის Quantum პორტალზე (რეგისტრაციისთვის დააჭირეთ ამ ბმულს) და შეავსონ **განაცხადი ინგლისურ ენაზე.**

Quantum პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ, სისტემა გადაგიყვანთ პროფილის მთავარ გვერდზე, სადაც შეგიძლიათ განაცხადი მოძებნოთ კონკურსის უნიკალური კოდით UNDP-GEO-00430 („search“-ში მიუთითეთ Negotiations და შემდეგ ჩაწერეთ UNDP-GEO-00430). ან უნიკალური კოდით ძიების ნაცვლად, შეგიძლიათ პირდაპირ მიჰყვეთ შემდეგ ბმულს: https://procurement-notices.undp.org/view_negotiation_dlink.cfm?nego_id=45500 (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, ლინკი იმუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკვე რეგისტრირებული ხართ Quantum პორტალზე).

**განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: 2026 წლის 19 ივნისი 13:00 საათი.** ვადის გასვლის შემდეგ მიღებული განაცხადები არ განიხილება.

კონკურსის და რეგისტრაციის პროცედურების შესახებ გაიმართება **საინფორმაციო ვებინარი**, რომლის განმავლობაში შესაძლებლობა გექნებათ დასვათ კითხვები და მიიღოთ დეტალური ინფორმაცია, რაც გაგიმარტივებთ განაცხადის შევსებას.
**შეხვედრის თარიღი: 28 მაისი 2026, 12:00 (GMT+4).**
Microsoft Teams meeting https://teams.microsoft.com/meet/346369543881583?p=9g1pjODYH177WH8ahR
Meeting ID: 346 369 543 881 583
Passcode: bU7yG7NL





# კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის შევსება



**UNDP-ის Quantum პორტალზე აპლიკანტმა უნდა შეავსოს განაცხადი და ასევე ელექტრონულად წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- წლიური ბრუნვის დადასტურების მიზნით, ბოლო ფინანსური წლის (2025) აუდიტის დასკვნა ან/და ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციების მიხედვით დასაბეგრი ბრუნვის შესახებ);
- საგადასახადო დავალიანების შესახებ ცნობა (ავტო+ www.rs.ge პორტალიდან).
- Annex 2 - Proposal Submission Form
- Annex 3 - Technical and Financial Proposal
- Annex 3a - Budget Breakdown and Workplan

საკვალიფიკაციო მოთხოვნების, განაცხადების შეფასების პროცესის და სხვა დეტალური ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ გაეცნოთ **დამატებით დოკუმენტებს**:

– Annex 1 Terms of Reference
– Annex 2 Proposal Submission Form
– Annex 3 Technical and Financial Proposal
– Annex 3a Budget and Workplan
– Annex 4 Application Evaluation Grid
– Annex 5 Interview Evaluation Grid
– განაცხადის შევსების ინსტრუქცია





# პროგრამაში მონაწილეობის ეტაპები



1. ელექტრონულად განაცხადის წარდგენა Quantum სისტემაში
2. განაცხადის განხილვა და ტექნიკური შეფასება
3. ინტერვიუები კანდიდატებთან, რომლებმაც დააგროვეს ქულების მინიმუმ 70%
4. გამარჯვებულ კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება
5. თანადაფინანსების თანხის ეტაპობრივი გადახდა და პროექტის განხორციელება
6. დასრულება და ანგარიშგება






მადლობა ყურადღებისთვის
THANK YOU